სსიპ- ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია

| | |
|---|---|
| სასწავლო კურსის / მოდულის/ კომპონენტის სახელწოდება/კოდი | **სტრესის მართვა**<br>**Stress Management** |
| საგანმანათლებლო პროგრამა | საშემსრულებლო ხელოვნება |
| ფაკულტეტი/ფაკულტეტები | საშემსრულებლო ფაკულტეტი |
| სწავლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| სწავლების სემესტრი | II სემესტრი |
| ლექტორი/ლექტორები | ივერი კეკენაძე<br>სამუსიკო ხელოვნების ბაკალავრი, საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი. მოწვეული ლექტორი.<br>iveri.kekenadze@tsc.edu.ge, +46736707367.<br><br>კონსულტაციების ცხრილი სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი იქნება სემესტრის დასაწყისში. |
| სილაბუსის ავტორი | ივერი კეკენაძე |
| სასწავლო კურსის /მოდულის /კომპონენტის სტატუსი | სავალდებულო |
| ECTS კრედიტების რაოდენობა(სემესტრების მიხედვით) | კრედიტები: 2 ECTS კრედიტი<br>საათების საერთო რაოდენობა: 50 სთ.<br>• საკონტაქტო საათები: 15 სთ.<br>ლექცია: 10 სთ. |

| | |
|---|---|
| | სემინარი: 5 სთ.<br>მათ შორის, შუალედური გამოცდა - 2 სთ.<br>• დამოუკიდებელი მუშაობის საათები: 35 სთ.<br>• დასკვნითი გამოცდა - 2 სთ. |
| სასწავლო კურსის/კომპონენტის მიზანი | სასწავლო კურსის მიზანია შექმნას სტუდენტებისთვის ინკლუზიური გარემო, სადაც სხვადასხვა ფორმატში განხილული იქნება ის გამოწვევები და სირთულეები, რაც შემსრულებლების კარიერის განუყოფელი ნაწილია. სასწავლო კურსი სტუდენტებს ახალ ჭრილში დაანახებს შემსრულებლობას, როგორც პროფესიას. კურსი მიზნად ისახავს სტუდენტების მსოფლმხედველობის გაფართოებას და დივერსიფიცირებას, რათა დაეხმაროს მათ საკუთარი შესაძლებლობების თანამედროვე გამოწვევების შესაბამისად გამოყენებაში. |
| სასწავლო კურსის/ მოდულის /კომპონენტის შესწავლის წინაპირობები | წინაპირობის გარეშე. |

| სასწავლო კურსის/ მოდულის /კომპონენტის შინაარსი | კვირის N | ლექციის/სემინარის/პრაქტიკუმის და ა.შ. თემა | ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა |
|---|---|---|---|
| | 1. | **შესავალი. მუსიკოსი და გარემო** (სხეულისა და გონების ბალანსი შესრულებისას)<br>ა) კავშირი ფიზიკურ მონაცემებსა და გონივრული შესაძლებლობებს შორის<br>ბ) ნიჭი და შრომისმოყვარეობა<br>გ) გარემო, სადაც ვსწავლობთ<br>დ) რა მნიშვნელობა აქვს ასაკს?<br>ე) ფოკუსი მუსიკაზე თუ საკუთარ თავზე | ლექტორის მიერ მიწოდებული საკითხავი მასალა, რიდერი. 1-4 გვ.<br><br>დამატებითი საკითხავი:<br><br>Clark, T., Lisboa T., & Williamon, A. An inverstigation into musicians‘ thoughts and Perception during Performance. Research Studies in Music Education, 36(1), 2014. |
| | 2. | **ღელვა, ნერვიულობა, პანიკა, სცენის შიში**<br><br>ა) მიზეზები, მოჭარბებული ადრენალინი, ფიზიკური სიმპტომები, ბალანსი<br>ბ) არის თუ არა ღელვა აუცილებელი?<br>გ) მეთოდები, როგორ შევცვალოთ ნერვიულობა და პანიკა ღელვით<br>დ) ჩვევები შესრულების წინ<br>ე) კონცერტი VS კონკურსი | ლექტორის მიერ მიწოდებული საკითხავი მასალა, რიდერი. 4-6 გვ.<br><br>დამატებითი საკითხავი:<br><br>Francisca Skoogh, Transforming Performance (An Inquiry into the Emotional Processes of a Classical Pianist), Published by Faculty of Fine and Performing Arts, Lund University, Malmö, Sweden, 2021 ISSN 1653-8617, ISBN: 978-91-88409-25-6 გვ.49-56, 121-127. |
| | 3. | **მეცადინეობა**<br><br>ა) რას ნიშნავს სწორი და არასწორი მეცადინეობა?<br>ბ) რა დროს ვუთმობთ მეცადინეობას?<br>გ) რა მნიშვნელობა აქვს ყოველდღიურ მეცადინეობას?<br>დ) ნელა მეცადინეობა<br>ე) მეცადინეობის ხარისხი<br>ვ) მეცადინეობის დღიურის წარმოება - როგორც ფოკუსირების ხერხი<br>ზ) მეცადინეობის დაგეგმვა | ლექტორის მიერ მიწოდებული საკითხავი მასალა, რიდერი. 7-10 გვ.<br><br>დამატებითი საკითხავი:<br>Helena Gaunt, One-to-one tuition in a conservatoire: the perceptions of instrumental and vocal students, Psychology of Music, April 2010 |

| | | | |
|---|---|---|---|
| | **4.** | **პროკრასტინაცია** - „რა არის პროკრასტინაცია და რატომ ვებრძვით მას?“ | ლექტორის მიერ მიწოდებული საკითხავი მასალა, რიდერი. 11-15 გვ.<br><br>დამატებითი საკითხავი: Petr Ludvick, Adela Schicker. The End of Procrastination. How to stop postponing and live a fullfilled life. Macmillan/St. Martin’s press, 2018. გვ. 4-38 |
| | **5.** | **რელაქსაცია და კონცენტრაცია**<br><br>ა) დაძაბულობის როლი და შესრულების ხარისხი<br>ბ) რელაქსაციის სხვადასხვა გზები<br>გ) კონცენტრაცია „ჩემს ყველაზე გამორჩეულ შესრულებაზე“<br>დ) მიზანი და ფოკუსი -მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი მიზნები<br>ე) პარალელები მუსიკოსებსა და სხვა პროფესიის ადამიანებს შორის | ლექტორის მიერ მიწოდებული საკითხავი მასალა, რიდერი. 15-20 გვ.<br><br>დამატებითი საკითხავი:<br>Diaz, F. M. Relationships among meditaion, perfectionism, mindfulness and performance anxiety among collegiate music students. Journal of Research in Music Education, 66(2), 150-167. |
| | **6.** | **ფურცლიდან კითხვა**<br><br>ა) რას ნიშნავს ნაწარმოების სწავლა?<br>ბ) სწრაფი კითხვის როლი და თანამედროვე გამოწვევები<br>გ) რა კორელაციაა სწრაფად კითხვასა და კარგ შესრულებას შორის?<br>დ) პრაქტიკული სავარჯიშოები | ლექტორის მიერ მიწოდებული საკითხავი მასალა, რიდერი. გვ. 25-27 |
| | **7.** | **თავდაჯერება**<br><br>ა) ეჭვის შეტანა საკუთარ თავში<br>ბ) ავტორიტეტები აუდიტორიაში<br>გ) რა განსხვავებაა ცუდ და კარგ პერფორმანსს შორის? | ლექტორის მიერ მიწოდებული საკითხავი მასალა, რიდერი. 21-25 გვ.<br><br>დამატებითი საკითხავი: |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | დ) თავდაჯერების გამომუშავება<br>ე) პედაგოგის და სოციუმის როლი თავდაჯერების მაჩვენებელში<br>ვ) რაციონალური თუ ირაციონალური მიზეზები | Barry Green, Inner Game of Music, Published by Doubleday, NY, the US, 1986, ISBN: 0-385-23126-1 Copyright by Timothy W. Gallaway |
| | **8.** | **შუალედური გამოცდა** - სტუდენტების ინდივიდუალური პრეზენტაციები | იხ.: I-VII კვირაში დასამუშავებელი მასალა |
| | **9.** | **მეხსიერება და დამახსოვრება**<br><br>ა) ძილი და ჯანსაღი კვება;<br>ბ) როგორ ვისწავლოთ ნაწარმოები სწრაფად?;<br>გ) შესრულების ხარისხი და შესწავლის ხანგრძლივობა;<br>დ) გამოწვევები დიდი ფორმის ნაწარმოებების დამახსოვრებისას;<br>ე) საკონცერტო შესრულების თანამედროვე ტიპოლოგია. ნოტებით თუ ნოტების გარეშე? | ლექტორის მიერ მიწოდებული საკითხავი მასალა, რიდერი. 27-30 გვ.<br><br>დამატებითი საკითხავი:<br>Francisca Skoogh, Transforming Performance (An Inquiry into the Emotional Processes of a Classical Pianist), Published by Faculty of Fine and Performing Arts, Lund University, Malmö, Sweden, 2021 ISSN 1653-8617, ISBN: 978-91-88409-25-6 გვ. 75-107 |
| | **10.** | **შესრულების ვიდეო/აუდიო-ჩაწერა, დაკვირვება**<br><br>ა) წარმოსახვითი აუდიტორიის შექმნა<br>ბ) ჩანაწერი, როგორც თვითშეფასების საშუალება<br>გ) ემოციის კონტროლი და ემოცია ჩანაწერში<br>დ) აუდიო VS ვიდეო<br><br>*მოწვეული სტუმარი* | ლექტორის მიერ მიწოდებული საკითხავი მასალა, რიდერი. 31-33 გვ. |
| | **11.** | **დისტანციური სწავლება**<br><br>ა) პლატფორმები და ტექნოლოგიების როლი<br>ბ) ასინქრონული სწავლება<br>გ) დროის მენეჯმენტი და სირთულეები შესრულებისთვის | ლექტორის მიერ მიწოდებული საკითხავი მასალა, რიდერი. 33-34 გვ. |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | დ) გამოწვევა თუ ახალი შესაძლებლობა | |
| | **12.** | **მუსიკოსი, ხელოვანი, შემსრულებელი, დამკვრელი**<br><br>ა) სტერეოტიპები და სტიგმა<br>ბ) სექსიზმი და დისკრიმინაცია<br>გ) სოლისტი და ორკესტრის მუსიკოსი<br>დ) თეორიული საგნები და სპეციალობა<br>ე) აკომპანიმენტი თუ კოლაბორაცია? | ლექტორის მიერ მიწოდებული საკითხავი მასალა, რიდერი. 35-37 გვ.<br><br>დამატებითი საკითხავი:<br><br>Dogantan-Dack, M. The Art of Research in live music performance. Music Performance Research, 2012. Royal Northern College of MusicVol. 5, ISSN 1755-9219 |
| | **13.** | **კრეატიულობა და დამატებითი უნარები**<br>ა) რა მნიშვნელობა აქვს საჯარო გამოსვლას, იმპროვიზაციას?<br>ბ) უნდა ფლობდეს თუ არა მუსიკოსი ვერბალურ უნარებს?<br>გ) ინტერნაციონალიზაცია და კონტაქტები<br>დ) სოციალური მედია, როგორც საშუალება<br>ე) უცხო ენის როლი და მუსიკა, როგორც საერთაშორისო ენა | ლექტორის მიერ მიწოდებული საკითხავი მასალა, რიდერი. 37-39 გვ. |
| | **14.** | **კარიერა**<br>ა) რას ნიშნავს იყო წარმატებული შემსრულებელი?<br>ბ) როგორ მივაღწიოთ წარმატებას?<br>გ) აქტიურობა - კონცერტების, კონკურსებისა და ფესტივალების მნიშვნელობა<br>*მოწვეული სტუმარი* | ლექტორის მიერ მიწოდებული საკითხავი მასალა, რიდერი. 40-42 გვ.<br><br>დამატებითი საკითხავი:<br><br>Francisca Skoogh, Transforming Performance (An Inquiry into the Emotional Processes of a Classical Pianist), Published by Faculty of Fine and Performing Arts, Lund University, Malmö, Sweden, 2021 ISSN 1653-8617, ISBN: 978-91-88409-25-6 გვ. 35-66 |
| | **15.** | წინასაგამოცდო კონსულტაცია | იხ.: I-XV კვირაში დასამუშავებელი |

| | |
|---|---|
| | <table><tr><td></td><td>**პერფორმანსის ანალიზი/ სასწავლო კურსის შეჯამება**<br><br>**ლექციის ჩატარება მიზანშეწონილია თსკ-ის მცირე ან კამერულ დარბაზში.**</td><td>მასალა</td></tr></table> |
| სწავლების მეთოდები | ლექციები და სემინარები, დამოუკიდებელი და ჯგუფური დისკუსია, გონებრივი იერიში, აუდიო და ვიდეო მასალების ტექნოლოგიების და სხვადასხვა სასწავლო პლატფორმების გამოყენება, მოწვეული ლექტორები და სტუმრები რელევანტურ თემებზე, როლური და სიტუაციური თამაშები; ზეპირსიტყვიერი/ვერბალური, ახსნა-განმარტებითი და დემონსტრირების მეთოდები, გამოცდილებით (experiential)<br>სწავლება, დისტანციური სწავლება.<br><br>სემინარები ეთმობა დისკუსიას ლექციებზე განხილულ თემებზე, კითხვა-პასუხის გარდა წარიმართება დისკუსია საშემსრულებლო სირთულეების სხვადასხვა ასპექტების შესახებ ვიზუალური მასალების გამოყენებით, რიგ შემთხვევებში სტუდენტები წარმოადგენენ ინდივიდუალურ პრეზენტაციებს.<br><br>სტუდენტებთან შეთანხმებულ დროს ჩატარდება მინი-კონცერტი კურსის ფარგლებში გავლილი საკითხების პრაქტიკაში გადმოტანის დემონსტრაციისთვის. |
| შეფასების მეთოდები | **შეფასების ფორმები და მეთოდები**<br><br>სასემინარო დავალებების მომზადება/დასწრება-აქტივობა: 50% (იხ.: განმარტება 1)<br>1 შუალედური გამოცდა - პრეზენტაცია: 20% (იხ.: განმარტება 2)<br>საბოლოო გამოცდა, კომბინირებული: 30% (იხ.: განმარტება 3)<br><br>საბოლოო შეფასება 100<br><br>**განმარტება 1**<br>კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე:<br>1) სტუდენტი აქტიურად უნდა იყოს ჩართული დისკუსიებში (იხ. დანართი №2). ჩართულობა ფასდება 0, 1 ან 2 ქულით. ჯამში 30 ქულა.<br>2) სტუდენტმა უნდა მოამზადოს 4 სასემინარო დავალება: ა) ე.წ. ქეისები, ბ) სასწავლო მასალა და ლიტერატურა. თითოეული სემინარის დავალება ფასდება მაქსიმუმ 5 ქულით (ჯამში 20 ქულა, შეფასების კრიტერიუმები იხ. დანართი №3);<br><br>**განმარტება 2** |

სემესტრის მანძილზე სემინარების ფარგლებში თითოეულმა სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს ინდივიდუალურად მომზადებული პრეზენტაცია საშემსრულებლო სირთულეებთან დაკავშირებულ ლექტორთან წინასწარ შეთანხმებულ საკითხებს. პრეზენტაცია ფასდება 20 ქულით.

**განმარტება 3**

ფინალური გამოცდა შედგება 2 ნაწილისგან, ა) პრაქტიკული დავალება, რაც მოიცავს მინი-კონცერტში მონაწილეობას კურსის ფარგლებში გავლილი საკითხების დემონსტრაციისთვის. კონცერტზე სტუდენტები შეასრულებენ კონცერტამდე შერჩეულ მათთვის სასურველ ნაწარმოებს. პრაქტიკული საკითხი შეფასდება 15 ქულით. ბ) წერითი დავალება, რომელიც იქნება ტესტის სახით, ღია კითხვების ფორმატში. წერითი დავალება შეფასდება 15 ქულით.

**პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმები:**

**პრეზენტაციის შინაარსობრივი მხარე - 10 ქულა**

8-10 ქულა: საკითხი ამომწურავად არის გადმოცემული. სტუდენტი ზედმიწევნით ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას.

5-7 ქულა: პასუხი სრულია, მაგრამ შეკვეცილი. სტუდენტი კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას.

3-4 ქულა: პასუხი არადამაკმაყოფილებელია, სტუდენტი ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, მაგრამ აქვს დაშვებული შეცდომები. პასუხი ნაკლოვანია, გადმოცემულია საკითხის შესაბამისი მასალის მხოლოდ ფრაგმენტები.

1-2 ქულა: პასუხი მხოლოდ ფრაგმენტულია და მისი ძირითადი ნაწილი არსებითად მცდარია.

0 ქულა: პასუხი არ შეესაბამება საკითხს ან საერთოდ არ არის გაცემული.

**პრეზენტაციის ვიზუალური მხარე - 5 ქულა**

5 ქულა - პრეზენტაციისთვის გამოყენებულია მრავალფეროვანი ვიზუალური მასალა, რომელიც სრულად შეესაბამება პრეზენტაციის თემატიკასა და შინაარსს.

3-4 ქულა - პრეზენტაციისთვის გამოყენებულია მრავალფეროვანი ვიზუალური მასალა, რომელიც ნაწილობრივ შეესაბამება პრეზენტაციის თემატიკასა და შინაარსს.

1-2 ქულა - პრეზენტაციისთვის გამოყენებულია მწირი ვიზუალური მასალა, რომელიც არ შეესაბამება პრეზენტაციის თემატიკასა და შინაარსს.

**პრეზენტაციის ფორმალური მხარე: რეგლამენტის დაცვა, კონტაქტი აუდიტორიასთან - 5 ქულა**

5 ქულა - პრეზენტაციისთვის გამოყოფილი დრო ზედმიწევნით დაცულია. პრეზენტაციას აქვს ინტერაქტიური სახე.

3-4 ქულა - პრეზენტაციის ხანგრძლივობა უმნიშვნელოდ აღემატება მისთვის გამოყოფილ დროს. კონტაქტი აუდიტორიასთან დამაკმაყოფილებელია.

1-2 ქულა - პრეზენტაციის ხანგრძლივობა არსებითად აღემატება მისთვის გამოყოფილ დროს. კონტაქტი

| | |
|---|---|
| | აუდიტორიასთან არადამაკმაყოფილებელია.<br><br>**პრაქტიკული დავალების შეფასების კრიტერიუმები** - 15 ქულა:<br>მონაწილეობა - 15 ქულა;<br>არ მონაწილეობა - 0 ქულა.<br><br>**წერითი დავალების შეფასების კრიტერიუმები - 15 ქულა:**<br><br>13-15 ქულა: საკითხი ამომწურავად არის გადმოცემული. სტუდენტი ზედმიწევნით ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას.<br>10-12 ქულა: პასუხი სრულია, მაგრამ შეკვეცილი. სტუდენტი კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას.<br>6-9 ქულა: პასუხი არადამაკმაყოფილებელია, სტუდენტი ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, მაგრამ აქვს დაშვებული შეცდომები. პასუხი ნაკლოვანია, გადმოცემულია საკითხის შესაბამისი მასალის მხოლოდ ფრაგმენტები.<br>1-5 ქულა: პასუხი მხოლოდ ფრაგმენტულია და მისი ძირითადი ნაწილი არსებითად მცდარია.<br>0 ქულა: პასუხი არ შეესაბამება საკითხს ან საერთოდ არ არის გაცემული.<br><br>**მოქმედი შეფასების სისტემა უშვებს:**<br>ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:<br>(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;<br>(B) ძალიანკარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;<br>(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;<br>(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;<br>(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.<br>ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:<br>(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;<br>(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.<br>FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.<br>დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.<br>დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება სასწავლო კურსის საბოლოო შეფასებაში. |

| | |
|---|---|
| | დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, ფორმდება F - 0 ქულა.<br>მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა.<br><br>**გამოცდაზე დაშვების წინაპირობა:** სტუდენტს სემესტრის განმავლობაში დაგროვებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 21 ქულა. გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი აგროვებს დასკვნითი გამოცდის 50%. |

| | |
|---|---|
| სწავლის შედეგები | **სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტი:**<br>**ცოდნა და გაცნობიერება:**<br>**აღწერს** რა სირთულეებს აწყდებიან შემსრულებლები მიკრო და მაკრო დონეზე, ერთი ნაწარმოების შესწავლიდან საკონცერტო კარიერის შექმნამდე; ჩვევებს შესრულებამდე და მის შემდეგ. **მიმოიხილავს** რა გავლენა აქვს გარემოს საკლასო ოთახიდან პერფორმანსამდე პუბლიკის წინაშე, **აანალიზებს** ფოკუსის მნიშვნელობას მუსიკასა თუ საკუთარ თავზე.<br><br>**უნარები:**<br>**განსაზღვრავს და განასხვავებს** ღელვისა და ნერვიულობის, პანიკის ფენომენს, მომზადების პროცესს საპასუხისმგებლო პერფორმანსის სხვადასხვა დონეზე; საკონცერტო, საკონკურსო შესრულების გამოწვევებს. ეფექტიანად იყენებს დაძაბულობის როლსა და შესრულების ხარისხის კორელაციას პრაქტიკაში, პერფორმანსამდე ცდის რელაქსაციის სხვადასხვა გზებს.<br>**ავლენს** როგორც დამოუკიდებლად, ისე ჯგუფურად მუშაობის უნარს და შეუძლია პერფორმანსის სირთულის რაციონალური თუ ირაციონალური მიზეზების ახსნა.<br><br>**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:**<br>დამოუკიდებლად **მოიძიებს** სტრესის მართვასთან დაკავშირებულ ინფორმაციას საბიბლიოთეკო რესურსებსა და ელექტრონულ საინფორმაციო წყაროებში, მეცადინეობისას და პერფორმანისას ითვალისწინებს სასწავლო კურსის ფარგლებში გავლილ საკითხებს. |
| ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა | ძირითადი ლიტერატურა:<br><br>ლექტორის მიერ მიწოდებული საკითხავი მასალა, რიდერი.<br><br>დამატებითი ლიტერატურა:<br><br>➢ Francisca Skoogh, Transforming Performance (An Inquiry into the Emotional Processes of a Classical Pianist), Published by Faculty of Fine and Performing Arts, Lund University, Malmö, Sweden, 2021 ISSN 1653-8617, ISBN: 978-91-88409-25-6<br>➢ Barry Green, Inner Game of Music, Published by Doubleday, NY, the US, 1986, ISBN: 0-385-23126-1 Copyright by Timothy W. Gallaway.<br>➢ Clark, T., Lisboa T., & Williamon, A. An inverstigation into musicians' thoughts and Perception during Performance. Research Studies in Music Education, 36(1), 2014.<br>➢ Dogantan-Dack, M. The Art of Research in live music performance. Music Performance Research, 2012. Royal Northern College of MusicVol. 5, ISSN 1755-9219 |

| | |
|---|---|
| | ➢ Diaz, F. M. Relationships among meditation, perfectionism, mindfulness and performance anxiety among collegiate music students. Journal of Research in Music Education, 66(2), 150-167.<br>➢ Liisa Ruoho, Ways to Release Tension for Better Control and More Energy, Helsinki, Finland.<br>➢ Helena Gaunt, One-to-one tuition in a conservatoire: the perceptions of instrumental and vocal students, Psychology of Music, April 2010 |
| დამატებითი ინფორმაცია | აკადემიური კეთილსინდისიერება მნიშვნელოვანია კონსერვატორიის ჯანსაღი ფუნქციონირებისთვის და ის, სტუდენტის აკადემიურ სივრცეში სწავლის ერთ-ერთი უმთავრესი ღირებულება უნდა იყოს. სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს მხოლოდ მის მიერ მომზადებული ნაშრომები, პრეზენტაციის თუ წერითი დავალების სახით, ხოლო სხვისი რესურსების გამოყენების შემთხვევაში ციტირების თუ აკადემიური კეთილსინდისიერების სხვა წესების დაცვის შესაბამისად იმოქმედოს.<br>სტუდენტმა არ უნდა დაარღვიოს აკადემიური კეთილსინდისიერება, წინააღმდეგ შემთხვევაში მას დაეკისრება ეთიკის კოდექსით განსაზღვრული დისციპლინური პასუხისმგებლობა.<br><br>სტუდენტი უნდა დასწროს ჯამური საკონტაქტო საათების მინიმუმ ნახევარს.<br><br>სასწავლო პროცესის დაწყებიდან მე-5 კვირას, მე-9 და4, მე-9 და მე-14 კვირაში სტუდენტი ვალდებულია წარმოადგინოს დანართი №1-ით გათვალისწინებული თვითშეფასების შევსებული კითხვარი. აღნიშნული კითხვარი არ ექვემდებარება შეფასებას. |

**სტუდენტის თვითშეფასების კითხვარი**
**დანართი 1.**

*სტუდენტის სახელი, გვარი:*

***თვითშეფასებისას სვეტებში მონიშნეთ შესაბამისი გრაფა, სადაც ციფრების მნიშვნელობა შემდეგნაირია: 1 - არასოდეს; 2 - იშვიათად; 3 - ხშირად; 4 - ყოველთვის;***

| | 1 | 2 | 3 | 4 |
|---|---|---|---|---|
| 1. ეფექტურად ვასრულებ სასემინარო დავალებებს | | | | |
| 2. ეფექტურად ვერთვები ლექციის მიმდინარეობაში და ვმონაწილეობ პრაქტიკულ აქტივობებში | | | | |
| 3. ვითვალისწინებ ლექტორის რეკომენდაციებსა და მითითებებს შესრულების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით | | | | |
| 4. როგორც სტუდენტი, ვაცნობიერებ ჩემ როლს კურსის წარმატებით განხორციელებაში | | | | |
| 5. როგორც სტუდენტს, წვლილი შემაქვს კურსის წარმატებულად განხორციელებაში | | | | |
| 6. კრიტიკულად ვაანალიზებ შესრულების დროს ჩემ მიერ დაშვებულ ხარვეზებს და ვცდილობ მათ გამოსწორებას | | | | |
| 7. ვიცავ დისციპლინას და ეთიკის ნორმებს თანაკურსელებთან და უფროს კოლეგებთან ურთიერთობისას | | | | |
| 8. შემაქვს პოზიტიური კონტრიბუცია სემინარების მიმდინარეობაში | | | | |
| 9. ვადაპტირებ ცვალებად სასწავლო გარემოში (ლექტორისა და მენტორის ცვლილებისას, დისტანციურად და პირისპირ რეჟიმში სწავლებისას) | | | | |
| 10. საჭიროების შემთხვევაში, დახმარებისათვის/რჩევისათვის მივმართავ ლექტორს, ტუტორს, უფროს ან თანატოლ კოლეგას სწავლის შედეგის გაუმჯობესების მიზნით | | | | |
| 11. საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალურად ვმუშაობ, ვიძიებ შესაბამის სასწავლო პრაქტიკულ თუ თეორიულ რესურსებს სწავლის შედეგის გაუმჯობესების მიზნით | | | | |

## დასწრება-აქტივობის შეფასება
## დანართი 2

| ჯგუფური მეცადინეობების შეფასების რუბრიკა | | | |
|---|---|---|---|
| ინდიკატორი | 2 ქულა | 1 ქულა | 0 ქულა |
| 1. ჩართულობა სასემინარო აქტივობებში - მაქს 25 ქულა | სტუდენტი მობილიზებულია და აქტიურად არის ჩართული სალექციო პროცესში.<br>მზადაა წაახალისოს სხვები. იცავს ეთიკის პრინციპებს.<br>პოზიტიურია გასაუმჯობესებელი სამუშაოების მიმართ. ავლენს ლიდერობის უნარებს. | სტუდენტი, მეტნაკლებად მობილიზებულია, ასრულებს ლექტორის მითითებებს, თუმცა ხანდახან სჭირდება მოტივირება სალექციო პროცესში აქტიური ჩართულობისთვის. მეტწილად პოზიტიურია გასაუმჯობესებელი სამუშაოების მიმართ. ხელს უწყობს ჯგუფის მუშაობას და იცავს ეთიკის პრინციპებს. მეტწილად ავლენს ლიდერობის უნარებს. | სტუდენტი არ მონაწილეობს სასწავლო პროცესში და/ან ხელს უშლის კლასს. სტუდენტს არ აქვს სურვილი გაიღოს ძალისხმევა ჯგუფური სამუშაოში მონაწილეობისთვის. შემოაქვს ნეგატიური განწყობა და არ იცავს ეთიკის პრინციპებს. |
| 2. პროგრესი მეცადინეობის პროცესში - მაქს. 25 ქულა | სტუდენტი ითვალისწინებს ლექტორის მითითებებს, აანალიზებს ხარვეზებს ჯგუფური მეცადინეობის პროცესში და ყოველთვის აუმჯობესებს შედეგს ყოველ შემდგომ<br>სემინარზე თავისი შესაძლებლობის ფარგლებში. | სტუდენტი მეტნაკლებად ითვალისწინებს ლექტორის მითითებებს, აანალიზებს ხარვეზებს ჯგუფური მეცადინეობის პროცესში და მეტწილად აუმჯობესებს შედეგს ყოველ შემდგომ სემინარზე თავისი შესაძლებლობის ფარგლებში. | სტუდენტი არ ითვალისწინებს ლექტორის მითითებებს და ვერ აუმჯობესებს საკუთარ შედეგს. |

## სასემინარო დავალების შეფასება
## დანართი 3

| # | ინდიკატორები | 5 ქულა | 4-3 ქულა | 2-1 ქულა | 0 ქულა |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | გაცნობიერება | ქეისის პირობა სრულად და სწორად არის გაგებული, მოძიებულია რელევანტური მასალა. | ქეისის პირობა მეტწილად არის გაგებული. მოძიებული მასალა მეტნაკლებად შეესაბამება ამოცანას. | ქეისის პირობა მეტწილად არ არის გაგებული. დასმული ამოცანა იდენტიფიცირებულია მნიშვნელოვანი ხარვეზით. | შემთხვევის/ქეისის პირობას ვერ გებულობს. შემთხვევით/ქეისით დასმული პრობლემა/ამოცანა იდენტიფიცირებული არ არის. |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **2.** | ანალიტიკური მსჯელობა | *მიზნობრივ საკითხთან დაკავშირებით  მსჯელობს ლოგიკურად, თანმიმდევრულად; მკაფიოდ წარმოადგენს ძლიერ არგუმენტებს.<br>წარმოადგენს შესაბამის და მკაფიო დასკვნას;* | *მიზნობრივ საკითხთან დაკავშირებით მსჯელობს ლოგიკურად და თანმიმდევრულად;<br>წარმოადგენს საშუალო სიძლიერის არგუმენტებს;<br>წარმოდგენილ, მეტწილად შესაბამის, დასკვნას აკლია სიცხადე;* | *მიზნობრივ საკითხთან დაკავშირებით მსჯელობა უძნელდება ლოგიკურად და თანმიმდევრულად; უჭირს წარმოაჩინოს არგუმენტები;<br>დასკვნა ბუნდოვანია, მეტწილად შეუსაბამო.* | *მიზნობრივ საკითხთან დაკავშირებით მსჯელობა არ არის წარმოდგენილი საერთოდ ან არარელევანტურია.<br>წარმოდგენილი დასკვნა შეუსაბამოა ან საერთოდ არ არის წარმოდგენილი;* |